

0570303000

10

1924

მხელილ ადამაშვილი — კვაჭი კვაჭანტირაძე.
რიხადცი — ცხრა იანვარი.
ირადიონ სონდული — პეროსტრატოსი.
მაიაკოვსკი — ნაწვეტი პოეზიდან „ლორელები შარვალში“.
პ. კ — მე — ანრი ბარბუსი.
ანრი ბარბუსი — ცეცხლი.
ი. ზონელი — ცეცხლის რკალეშვი.
ი. ზომერიკი — ჭარში.
შ. — კარლ ლობკნეტი.

ბუხარინი — ლობკნეტი. და ახალგაზრდობა.
პ. კ. — პროლეტარული მხატვრები: სტეინლენი და ეან-ფრანსუა ლილე.
ი. ზინველი — უცხოეთის კინო წარმოება
ფიგარო — გ. ზეჩუაშვილის იუბილე.
ვ. ბ. — საბელშვილი სათვალრო ინსტიტუტი.
ხელოვნების ქრონიკა, ნარკვი, ბიბლიოგრაფია, კარიკატურები და ილუსტრაცია.

დასმავდა

1924 წ-ლ

და გამოვიდა

კეღლის კალენდარი და მოძრავე კალენდარი

გამოცავს სახალხოვნო გამოცემალუგისა

შედგენილი პ. ი. ზუმბაძისა.

კალენდარი შეტანილია: საგეგნიარო საგონოშიო საგეურნაო საგხატრო
და სალიტერატურო გასალავი

კალენდარი სეფთად და მხატვრულდნა გამოცემული.

ფასი ერთი მან. ჩიკვ.

მოკითხეთ ყველა კიოსკსა და წიგნის მაღაზიაში

საწყოში სახალხოვნო გამოცემალუგა ლუჩის გელიქ. ქ. № 5.

124

დ ბ მ ს

"43MO"

23.06.1924

Вход. № 1048

ოკავიეროული სახმამტარო-სალიტერატურო მუხანალი.

განცხადების ტარიფი:	ხელის მოწერა:	მისამართი:
პირთი გვარდი . . 100 მ. რუბ.	საზი თვით . . 1 მან. 20 ჰ. რუბ.	რუსთაველის პრ. № 22.
ნასაჯარა გვარდი . 50 მ. „	ერთი თვით . . 40 ჰ. „	შაილუა სკლის მტურა დილის
მუთსედი გვარდი . 35 მ. „	ცალკე წმარტი ყვალგან 20 ჰ. „	9-3 საათამდე.

№ 6

სამუხაბათი 15 იანვარი 1924 წ.

№ 6

კვაჭი კვაჭანსირაძე.

კვაჭის კვაჭობა.

VIII.

1457
კვაჭის რომ ჯიბეში ფული გაუნდა, ცხოვრების კიბეზედ უკვებ ათიოდე საფეხურით ახტა. თავში ახალ ეშმაკებზე ჩაუსხდებოდა, გულში ცეცხლი ფარსად გაუჩაღდა და აფრიალდა, მეგობარ-ნათესაებზე გაუზრავდებოდა, ცხოვრება და ეს ქვეყანაც უფრო გაიშალა, გაიფურჩქნა, აყვავდა, განათდა, გატეხილდა და გაშალდა. კვაჭი თვისი ახალი ცხოვრება იმით დაიწყო, რომ ცვირისთვის ერთს უბედურ დღეს, თავის ბარგი-ბურხანა ილიის ქვეშ ამოიღო და ტფილისის ქუჩაზე გადასახლდა ვინმე რუსი დედაკაცის ვოლკოვის ბინაზე. ცვირი ტირილით დაედევნა გაფრენილ მამალს, მაგრამ კვაჭი შესაფერი გულის გამძლეობა და ხსიათის სიმტკიცე გამოიჩინა. მშვიდად და დინჯად უთხრა:

— ყური მიგდე, ჩემო ცვირიკო. ყოლიფერს თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს. არ უნდა ახირდე და ახირდე, თვარა ბუდე გაიგებს, ქვეყანაც შეიტყობს და ორივეს თავი მოგვეკურება. მე რა მიშავს, გამოუცდელი ახალგაზრდა ვარ, შენ შენს თავზე იფიქრე. ოცდაათმეტყრო წლის დედაკაცი ხარ, ოჯახის პატრონი, გამოცდილი და დამჯდარი. სიკვდილამის არ დაგვიფუყვებ სიყვითეს და სიყვარულს. ყოლიფერს მალე ერთი ათად გადაგიბდი. გულისყურს ნუ აძევები, ქუჩა მოიხმარე და ორივენი კმაყოფილნი დავრჩებით. არაფრად იყავი, ოთახი არ დაგიკადლივდებოდა. ბესო ჯიქიას ხომ იცნობ? კარგი ყმაწვილია განაშ? ზგაღვე გადმოგა იმ ოთახში, ალბათ ადგილია მორიგდებით. მაშ ასე: ქუჩა და სილინგე. მოკითხეა ბუდე. მშვიდობით, ჩემო ცვირი!

კვაჭის გული აბუჟდა, ორიოდე კრემლიც ჩამოაგდო.

ცვირიმ გულიანად გამოიტირა თავის სიყვარული, მართლა გულის ყური უკუავდო, კვაჭის რჩევას აძევა და არც ინანა. ორი დღის შემდეგ მან ბესო ჯიქიასაც „ასე-სა“ სამი მანეთი და უთხრა:

— როცა გვექნება, დამიბრუნე. რაო, სარგებლითო რა თქმა უნდა! აბა, უსარგებლოდ ფულს გავასესებო! იყავი, ჩემო ბესიკო, რაც გინდა. ნუ მომერიდები, ბევრი არა მაქვს, ცოტას კი მოგიბრუნებ.

არც ბესო ჯიქიასთვის იყო საჭირო გაფრთხილება, რადგან „მორიდება“ მის კვაჭზე ნაკლებად ეხერხებოდა. ასე დამიშველია და ასე მალე ინფუგა თავი ცვირი შოლიამ.

კვაჭი მშვენიერი ოთახი დაიქირავე—დიდი, ნათელი და ლბილის ავეჯით მორთული. ვოლკოვის ქვრივს—მოხუცებულს, მშვიდს, უწყინარს და გულთა რუსის დედაკაცს—კვაჭი მოეწონა. გამომტკიცებულ, ყვერება და მორწმუნე მოხუცი თითქმის ყრუ იყო და ამ ქვეყნისა ბევრი არაფერი ესმოდა, თითქმის ბრმა იყო და ძლივს ჰედავდა. ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ, თავაზიანად ექცეოდნენ, ტბილად ულიმოდნენ და დიდამშვილად ცხოვრობდნენ.

მალე მოვიდა მერვე კლასელთა განკითხვის თვეც—დადგა მაისი. იმ წელს კვაჭი გიმნაზიას ათავებდა, დატრიალდნენ კვაჭი და მისი მეგობრები. ეს იმ წელს მოხდა, როცა მოსწავლენი მასწავლებლებს კისურზე ასხდნენ და საითაც მოინდომებდნენ, იქით გაირკავდნენ. გამოცდის საქმე ყველასთან ადვილად მორჩივს, რადგან იმ წელს უფრო მასწავლებლები იჭერდნენ გამოცდის მასწავლებელს ვინაშე, ამიტომ მასწავლებლები ლბლბნი, ქედმოხილბნი და მორჩილბნი იყვნენ, ვითარცა საჭურისი მრისხანე სულთანის თვალწინ. მხოლოდ ერთი ახირდა და გაეკუდა—ბერძნულის მასწავლებელი სირიადისი, რომელსაც არ სწამდა არც ძალთა ურთიერთობაში მომადარი ცვლილებები, არც „გახანებულობა“, არც კომიტეტები, ბევრი იფიქრს. ბილოს კვაჭი მსტყე:

— სამი დღე მაკალეთ.

მესამე დღეს დილით სირიადისს წერილი მოუვდა.

ქუთუხში გამობატული იყო თავის ქალა, კუბო, ხანჯალი და დამბაზა. ეწერა:

„არც ერთი მერვე კლასის მოწაფე არ უნდა ჩაიჭრას, თუ თანახმა ხარო, დღეს, საღამოს რვა საათზე ბულვარზე დაგვენახეთ. თუ არ გამოჩნდით—აიბარგეთ და სამ დღეში ქუთაისს გამოვთხოვთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გირჩევთ ეხლავე დაიშალოთ კუბო.“

ანარქისტ-სინდკალისტ-სოციალისტების მთავარი კომიტეტი“.

თამეჯლომარე.
მიდივნი.

ბეჭედი.

კვაჭიმ მთელი საათი იარა ბულვარზე, მაგრამ სირიადისი არ გამოჩნდა. სამაგიეროდ მოვიდნენ ჯიქია, ჩხუბნიშვილი, ხვიჩია და ჩალოძე.

— ამბავი?

მოკლედ მოსკრებს:

— ემბრიგეთ. თავილი ვადგენეთ, პოლიციაში მიდიოდა. იქამდის ფურტყით, სანამ არ დაიყვარა: „არავინ ჩაიჭრება, არავინ ჩაიჭრებაო!“ შევთანხმდით და მოვრიგდით.

სირიადისმა პირობა შეასრულა. გამოცდაზე მართლა არავინ ჩაჭრილა.

ასე გაათავეს გიმნაზია და ასე მიიღეს დიპლომები კვაჭი კვაჭანტრაძემ და მისმა მეგობრებმა.

სააღდგომოდ კვაჭი სამტრედიოში წავიდა. ყველანი ალაპარაკა, დედ-მამა, ნათესავები და მოყვარე გახანრა, მეტეს თვლი დაუყენა, იქუური ქალები ააქცქებდა, მოაპრანდა, ვაყები დააღონა, ქაშები ააიჭვიანა და ისევე ქუთაისში დაბრუნდა. თან წამოიღო თავის მამის სილიბისტროს დარიგება და გაფრთხილება:

— შეილო კვაჭი! ქვეყანა აირია. მეტრი ბევრი გაიზინდა. შვი ეგვრებენ. თუ საჭირო გახდა, ყოლიდერს გავეყიდო, მათხოვრობას დღეიწყებ და გუთუნებდეს არ დაეტოვებ. ეხლა უდიპლომო კაცი თუნდ არ ყოფილა. ანოფრობა ქე გეიშოვე. გიმნაზი(კ) გავათავებთ, ორიოდ გროსი კილო მოგაწოდებ, მარა შენც უნდა ხელი გაანძიო. ავტო, ჩოლიამ და ლეიჩიამ ისეთ გაათავეს რუსეთში რაღაც უნდობისიტ რომე სახლიდან ორი ფარაც არ მიუღიათ. მას იტყვი, შეილო კვაჭო?

კვაჭიმ სილიბისტროს პასუხად ხელში ასიანი ჩაუღო და წამოვიდა. ასტყდა სილიბისტროს ოჯახში დიდი ვაკე-ვირეობა, სიხარული, ლხენა, გაბლენდა და თავის ქეჩა: ცხრაშვიტ წლის კვაჭი რუსეთშიც თავის ხარჯით მიდიოდა და დედ-მამისაც ქომაგს აძლევდა. შეილიც ასეთი უნდა!

იმ ჩინიდან კვაჭი ჩაფიქრებული დადიოდა, ცხვირს დაეჭვოლი ძაღლივით ათამაშებდა, პერის მსუნადა და რაღაც ცნობებს აგროვებდა. ვოლკოვის ქერიც დაუმეგობრდა, „ჰოჩინქას“ ეთამაშებოდა, წერილ-წერილად ავებდა, ზოგჯერ ეხმარებოდა კიდევ: ხახინდა პენსიის მოუტანდა, ავდარში სასყიდელს უყიდა, გახეთს წაუკითხავდა და ავ ხალხთან მფარველობას უწევდა, ვინაიდან იმ ხანებში ძალიან გახშირდა ავკაუბა, შარი, შერი და მტრობა.

ერთხელ ქერიც წერილი მოვიდა. წერილის ყუთში დახატული იყო კუბო, თავის ქალა, ხანჯალი და დამბაზა. ეწერა:

„სამ დღეში დაგეიმადეთ სამი ათასი მანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეხლავე შეუკვეთეთ თქვენივეს კუბო. ანარქისტ-სინდკალისტ-სოციალისტების მთავარი კომიტეტი“.

თამეჯლომარე.
მიდივნი.

ბეჭედი.

დაფეთებული ქერივი კვაჭის ეცა რჩევისა და დახმარებისთვის. ან ეისთან უნდა მისულიყო უპატრონო მოხუცი, გადმოკარგული სხვის ქვეყანაში? კვაჭი ჩაფიქრდა, ძალიან ჩაფიქრდა და დაღონდა. ბოლოს უთხრა:

— როგორც დედას, ისე გელაპარაკებით. ხმა, კრინტი არსად დასძრავ, თორემ ქრისტე—ღმერთიც ვერ გიშველით. სასტიკი და ველური ხალხია. არც დედაცას ინდობენ, არც მოხუცი, ამ ერთ კვირაში ორი დედა-კაცი მოჰკლეს, ერთი მოხუცი ხელით დააანგეს და ერთიც რიონში გადაადგეს. პოლიციაც დაშინებულია, გარეთ თავი ვერავის გამოუყვია. ზომ მხედავთ, ჩიტებსავით ჰყოლებენ; აი, გუშინ წამოხარში თქვენ თვალწინაც მოუკლათ ერთი პოლიციელი.

კვაჭიმ ზოგი მართალი სთქვა, ზოგიც წაუტყდა. მართლა ასეთი დიდი იყო. უპატრონო ქერივიც იცოდა, რომ ქვეყანა უპატრონოდ იყო, ამიტომ თრთოდა, კანკალუბდა და ჩურჩულით ემუდარებოდა კვაჭს დახმარებას და შუა-კაცობა, თან ხატვს და სახარებაზე ფიქვლობდა, რომ ამ საიდუმლოებას სამარეში ჩაიკნადა.

კვაჭი ჯერ დიდ უარზე იდგა. თვითონაც ეშინოდა ხიფათისა და ანარქისტ-სინდკალისტებისა, რომელნიც „არაფის ინდობდნენ და ყველას ჩიტებსავით ჰყოცდნენ“. ბოლოს, როგორც იყო, მოიღმა და მოტყდა, რადგან საწყალი ვოლკოვის ქერივი დედისავით უყვარდა.

იმ დღიდან კვაჭი „მეტის-მეტად რთულად და სახიფათო“ საქმეს შეუდგა, თან ქერიც ეუბნებოდა:

— ჩვენ, ქართველებს ასეთი ანდაზა გვაქვს: არამეცხე მომხუბო, მირტყივ და მიაგდეო. მეორე ანდაზაც ასეთია: პიანხურას ერთი მომხუბა, ვამწველებდეს-ხუთიო.




ბოლოს მაინც ეცალს მიაგნო და შმისიგან მილუღლ-მიზნეღლ მოხუცს ასეთი ამბავი მოუტანა:

— ღმერთმა იმ ხალხისგან თქვეიც დაგეთვარა და თქვენი მტერიც! რას მერჩობენ, რათ ჩამოვით, რა გინდოდათ ჩემგან! ეხლა მეც ჩამვიდეს ხელი და მემუქრებიან, თუ ორი ათას მანეთზე ნაკლები მოგიტანიაო, შენც იმ დედაცას ქვ დაგაკლავთო. ვიდა ხელა საღამოზე თავიღება.

ქერიც ენა დაება და გულის ფანქარალი დაემართა, ხოლო კვაჭი იხეწებოდა:

— ვთხოვთ გამანათავისუფლოთ ამ სახიფათო საქმისგან. დღეითაჩ ჩემო, ეს რა დღეში ჩავყარდი! მე რა შუაში ვარ, რა დაუწუხე იმ მგლებს, რას მერჩიან?

დიდხანს იჩურჩულეს იმ საღამოს ქერივმა და კვაჭიმ. ბოლოს ასე გადასწყვეტეს: შეიძლება ათას ზუთასი მანეთით გათავდეს ეს საქმე. ქერიცს ზუთასი მანეთი აქვს შენახული კასაში, დანარჩენს კვაჭი უსესხებს ნათესავებისგან სამტრედიოში ექსპლიოთ, ამ სახლს დაუფრავებს, ხოლო ამისთვის საჭიროა, რომ მას ვოლკოვის ქერივისგან რწმუნების ბარათი ჰქონდეს. ხეალ დილით ქერივი მისცემს მას ამ ბარათს. კვაჭი საღამოზე დაბრუნდება და ყველაფერს „გაიამსანებს“. თუ ფული ვერ იშოვია, არ



1) ნაფარელის საბჭოთა შამელის საწურავი განყოფილება. 2) ყვრანის გადარჩევა. 3) მეტეზანის შამელის ზეგანის ლენინის მარანის საერთო სურათი. 4) ტფილისის საბჭოთა ლენინის საწურავის საკასრე განყოფილება. 5) კარდამახის დიდი ზეარის ბაღში მარანი. 6) მეტეზანის შამელის საკვეთო განყოფილება.

დაბრუნდება, იმ ყაიღებს თავს მოარიღებს, სამტრედიოში დაიშლება.

არც იმ ღამეს ეძინა მოხუცებულ დედაკაცს. დილაშდის ლოცულობდა, ოხრავდა, შამფურიით ტრიალებდა და თავის ხნის ტახტს ატრიატუნებდა. კვაკიმც რიერაზე მიიძინა, რადგან ჭერივის საწმე აფიქრებდა და აწუხებდა.

მეორე დღეს ორიენტი ნოტარიუსთან მივიდნენ. კვაკიმ ექსელი და სრული რწმუნების ბარათი ჩაიღო ჯიბეში და სადგურისკენ გაემშვრა. ის დღე ჭერივ დედაკაცს ძლივს დაუღამდა. საღამოზე კვაკი გახარებული დაბ-

რუნდა. ჭერივსაც ისე გაუხარდა კვაკის დაბრუნება და ფულის შოვნა, თითქო თვითონ კი არ ეხარებოდა ის ფული, არამედ თითქო იმის პატარა ჭონებს კიდევ მიეცა და მიემატაო. კვაკიმ ჭერივისგან ხუთასი მანეთიც მიიღო და ანარქისტ-სინდიკალისტების კომიტეტში გაიქცა.

კვაკი კვაკანტირაძემ იმ ღამეს ეოლკოვის მოხუცებული ჭერივი შეეველი სიკვდილისგან იხსნა, ხოლო ანარქისტ-სინდიკალისტები—მეასე ცოდვისგან: სწორედ დროზე მიუსწრო, ათას ხუთასზე დააჯერა და ფულიც ჩააბარა. დროზე რომ არ მიესწრო, სამი კაცი უცეე ნიღაბებში იქ-

გენი და წამისასეულად ემზადებოდნენ. მოხუცი დედა-კაცია სიხარულისგან და შიშისგან ატრიადა და ხელმეორედ აიწმალა. მეორე დღეს მან ჯერ სამადლობელი პარაკლისი გაიძიბა, მერე ნიშნად მადლობისა და დედაშვილობისა კეპის ყელზე დიდი ოქროს ჯვარი ჩამოჰკიდა, ხოლო ჯი-ნეში სასურველად თავის ქმრის ეგრესიის პორტსივარი ზაფხუდ, და უთხრა:

— თუ გავიპირდეთ, ამ ჯვარზე ილოცეთ; სიკეთეს არც ღმერთი დაგიფიქრებს და ყველაფერში დაგეხმარებათ. არც მე დაგიფიქრებს, შვილო. თუ შეგძულ, კიდევ გადაგიბი-ნი მადლობას, თუ არა...

გდაღებვია, აკოცა, ატირდა და კინაღამ კეპიკ აატირა.

IX

იმავე ხანებში კეპი მუსიკამ გაიტაცა. მუსიკისა მას არაფერი ესმოდა, სწენაც სრულიად დაშული ჰქონდა, სხვა საკრავები გულგრილად ითმენდა, ხოლო როიალის ხმაზე ტანში გრუნტული უვლიდა და ნეტის აღელვების-გან ტრიადა, შვითავდა და ცქერტავდა. ჯერ როიალის ყოფდა უნდოდა, მაგრამ იძიერა და ვადანწყეკტა მისი და-ქირავება. მისი ნაწილობის — მაიხელსონის ოჯახი საზაფხუ-ლოდ ბორჯომში წასასულებლად ემზადებოდა. კეპიმ უთ-ხრა მაიხელსონს:

— სხვათა შორის, თქვენ ბორჯომში მიზრძანდებით, არა? შემიძღვამდის არ დაბრუნდებით? იმ დრომდის მე ქუთაისში ვრჩები. ათასი საქმე მაქვს, უნდა მოვახსენოთ, რომ უქანასნელი ჩემი ავადმყოფობა მუსიკა ვახლავთ, ისე ვამბობ, რომ ღამის გავციდეთ. მინდა დავკრა ვის-წავლო. ისევ დაგვიანებით სჯობია, ვიდრე არასოდეს. მო-მაქირავეთ თქვენი როიალი.

მაიხელსონს თავის სიკოცხლევი ანგარიშის და გა-მორჩენის გარდა არაფერზე უფერპია, ამიტომ ერთ წუთ-ში ასე მოისახრა: სამ თვეში სამ თუმანს ავიღებ, გზის ფულს ვაივავო, ესეც კარგია. მაშინვე მორიგდნენ.

იმავე საღამოს კეპი თავის ოთახში მაიხელსონის როიალს ცალი თითით გატაცებით აბრაზუნებდა.

ზაფხული იწყებოდა. საცაა მაიხელსონი უნდა დაბრუნებულიყო.

კეპი აჩქარა, აფაქტრდა. ერთხელ კეპიმ და ბე-სო ჯიქიამ წითლურქოლუს, მეორე დღიდან ბესო მუსიკა-ლურ მალაზიას დასტრიალებდა და მალაზიის მუშტარს ჩუმად ეკითხებოდა:

— უკაცრავად, თქვენ როიალს ეძებთ, არა? სასწრა-ფოდ იყიდება მშვენიერი როიალი, თითქმის სულ ახალია, აქვია, შორის არ არის. ვისი? ჩემი ამხანაგის, თავადი სე-ვერია დადიანისა გახლავთ. აქვია, ტუფლისის ქუჩაზე, გოლკოვის სახლში.

ბოლოს ვინმე არუთინოვს წააწყდა. როიალი გისინ-ჯეს, მოიწონებს, ფასი?

— შვიდასი მანეთი.

— ოთხასი.

— ექვსასი.

— ხუთასი.

— თქვენის ხათრით დამითმია. ესლავე მიგაქვთ?

— დღესვე უნდა გავგზავნა. ფოთში, მეჭკარება.

კეპიმ შულო დიპქუშენა, უთისს წუთით ჩაუთქრდა. კომბინაცია თავისთავად გამოინაცქა.

— თუ გნებავთ, მე თვითონ ვაგაგზავნი...

— თუ მაგისთანა მადლს მიზამთ, დიდი მადლობელი ვიქნები. ზედმეტი დღე არ დამეკარგება. რას იტყვი, სი-რანუშ? — ჰკითხა არუთინოვმა თავის კოლს.

— მაგაზე უკეთესი რაღა იქნება!

— მაშ ასე: როიალი ესლავე შეაკრინეთ, სად-გურზე გაგზავნეთ და ჩააბარეთ. საღამოე „ფრანკიაში“ მიზრძანდით, პირველ ნოქერში მიკითხეთ. რკინის გზის საბუთი მომიტანეთ და დანარჩენი ფულიც ჩაიბარეთ. ეს-ლა სახარჯოდ და ზედ ინებეთ ორასი. გვეყოფათ?

— რა თქმა უნდა. ბარათს ესლავე მოგარბმეთ. ერთი თბოვნა და პირობა: არაფის არაფერი უთხრათ, ჩე-მი გვარი და ეს როიალი არსად ახსენათ. ჩემთვის შე-ტის მერად უზერხულია მისი ვაყიდვა.

— ძალიან კარგი, ევ ადვილია. სიტყვას გაძლევთ. ქართულები ძალიან თავმოყვარე ხალხი ყოფილა.

— სრული სიმართლეა. ჩვენში სირცხვილად ითე-ლება ასეთი ნიუთის ვაყიდვა, მით უფრო თავადი დადი-ანისთვის.

არუთინოვები წავიდნენ. კეპი სადგურისკენ გაჰქან-და.

იმავე დღეს საღამოზე „თავადი დადიანი“ სასტუმ-როში ეწვია არუთინოვს.

— ყველაფერი მზათ გახლავთ. ძლიერ მოვასწართ შეგვრა და გავხავა. ან რკინის გზის საბუთი. არუთინოვმა საბუთი გადაშალა და გასინჯა:

„საიდან? ქუთაისიდან.“

„სად? ფოთში.“

„რა ეგზავნება? როიალი.“

„წონა? ბრუტო 50 ფუთი.“

„ვინ ჰგზავნის? თავადი დადიანი.“

„ვის ეგზავნება? არუთინოვს.“

სადგურის გამზე (გაურკვევლია).

ბეჭუღი.

— შესაკრეკელი და გასაგზავნი?

— 41 მანეთი და 35 კაპიკი. აი ბარათები.

არუთინოვმა გამოიანგარაზა:

— სულ გერგებათ 555 მანეთი და 2 კაპიკი.

— სწორა.

— მიღებული ვაქვთ ორასი, კიდევ გერგებათ 355 მ. და 2 კაპიკი. ინებეთ.

— სწორა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— საით მიქქავენთ. დარჩით, ჩი დავლით — დაჰ-პატეცა ქალბატონმა სირანუშმა.

— დიდი მადლობა. მეჭკარება... მელოდებიან...

— მაშ თუ ფოთში გამოივლით ოდესმე, გვეწვიეთ. ქალაქის ბაღის პირდაპირ ვცხოვრობთ.

— დიდს სიამოვნებათ... უკველად გნახავთ. კე-თილი იყოს ჩვენი გაცნობა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! მეორე დღეს ბესო ჯიქია კიდევ წააწყდა ვინმე საროკის.

— უკაცრავად, თქვენ როიალს ეძებთ, არა? სასწრა-ფოდ იყიდება მშვენიერი ბეჭკარების როიალი, თითქმის ახალია. აქვია, შორის არ არის... წამომბრძანდით.

ისევ გახსენეს, ისევ მორიგდნენ.

— თქვენი გვინა აქაური არ ბრძანდებთ.

— აქაური არა ვარ, ქუთათელი უნდა წავიდე.

— მაშ ჩვენ ვაგაგზავნი... თუ გნებავთ, ორ საათ-ში რკინის გზის საბუთს მოგარბმეთ...



ამაზედაც მორიგდენ. კვაჭა ისევ სადღურისკენ გაქანა.

იმევე საღამოს კვაჭი „დადიანმა“ „ორიანტში“ მიუტანა ინგენერ საროკინს რკინის ზმის საბუთი:

„ქუთაისიდან ჰიათურაში, როიალი, ბრუტუო 50 ფუთი. თავადი დადიანი უგზავნის ინგენერ საროკინს, გადახდილია 11 მანეთი და 2½ კაპეიკი.

სადღურის გამგე...

ბეჭედი.

ინგენერშეს და გაათავეს.

— ლამე მშვიდობისა!

— მშვიდობით ბრძანდებოდით!

ბესო ჯიჭია ქუჩაში უკლდება.

— აბა, ბესო, ხეალვე უნდა „გავაიმასქნათ“ ყოლი-

ფერი, იშოვო?

— მოვაჭახრავ. წავიდეთ.

— ვინ არის ანუ არ გამარჯვდე, აქოურს არვის უთხრა—არც ჯუპარს, არც ურას, თვარა...

— აბა, არ ვიცით თუ: გადასახლების ინსპექტორია, ვინცა გერკოვი. ერთი თვის წინად შეურთავს ცოლი. გუშინამ დაუტოვავს ბინა, ცხლა აივებს ყიდულობს. ერთი კვირის ჩამოსვლია ქუთაისში. იყვნენ, გასინჯეს, მოერგოდნენ.

მეორე დღით გერკოვმა—ახალგაზრდა თავმომწონე მოხიფედი ექვსიოდე მუშა მოაყენა კვაჭის ოთახს და როიალი თავის ახალ ბუდეში გადითანა. იმავე დღეს კვაჭი კვაჭანტრიაძე და ზესარიონ ჯიჭია სტუდენტებად მიიწვილენ: ახალი სტუდენტური ფორმა ჩაიცვეს, დამშვენდნენ და გალამაშდნენ; ორივენი თავიანთი თავისა, ერთმანეთისა და ნაწილობრივ-მეგობრთა თვალი უცებ გაიხარდნენ, დასრულდნენ, დაფასდნენ და გადიდგაყდნენ.

ორი დღე და ლამე ლაითაძის და ერემოს. დუქნებში ერთი ორომ-ტრიალი, კორიანტელი და ქვიფილ-ხეივანი იდგა და ისმოდა. ლეონი წყალივით მოდიოდა, ახლომანად ქათამი და ინდაური გამოილია, რეკოლევიტების ქეჩა-ქუჩილი ზეკა დააყრდა, მუდღუნებები და მოსამხატვრე იოღში იწურებოდნენ, მესტრეებმა ყაბი დაიბეჭდეს, დანიელა ურამ ხმა ჩაიხლიჩა, მეთარემ თითები დაიმტვრია, მეგრულენ არღანი დაღალა, ოცმა მეეტლემ ცხენები დახოცეს ქენებში და სირბილით, ხოლო მოქიფე ქალები უძლიობისგან და უღილაობისგან ფეხზე ძლივს იდგნენ და დათხოვას იხეყებოდნენ.

გალეშლილი და გაქვნილი კვაჭი ყველას ეუბნებოდა:

— რაი, ფულიო? არეინ გაბედოს ფულზე ლაპარაკი. ყოლიფერა ჩემი ხარჯია. ხეალ დღით, სწორედ ათ საათზე ყველანი სახლში მეწყითი. ყველას ანგარიშს იქ გავასწორებ, ხეალ ყველანი ჩემი სტუდენტები ხართ-ერემო, დანიელა, ბიჭებიც, ქალებიც, „ფიატონიკებიც“. ერემო! კვირის ჯიჭია გვახტოვებს ყველას. დაშვადე, არ შემარტყნი. დანიელი! შენც ხმა ჩიქუნინდი! ყმაწვილებო, ეტრატა! ერემო, ესემა შენს სადღურსაქმობა!—და გახეილ-გაბედნილი ერემოს ისეთი თბილი, მეგობრული და მშური სიტყვა უთხრა, რომ თვითონაც ატრიადა და ერემოც ააყვირა. ერემოს კოცინი ტუჩები და ლოყები გაუტეივს, სარდაფი დაუცალეს, სანოვავე გამოჟღერეს და ისეთი ქვეა-ქუხილით, ღრიალით და ყიფინით შემოკვიდნენ ქუთაისში, რომ უცნოს ეგონებოდა—მტრმა

ცოხე შემოიხარა და გამარჯვებით დამთვარი ჯარი ქალაქში შემოიჭრაო.

შუალმე რომ ვიდევდა, ქუთაისიდან ხონისკენ ერთი ეტლი გავიდა. შიგ ორი ახალგაზრდა მგზავრი იჯდა. ორივენი ისე იყვნენ ყაბაღებებით ახეულნი, რომ ვერავინ მოახერხა მათი პირსახის დანახვა და ცნობა. ეტლმა ლაითაძის დუქანს გრიგალივით გაურბინა. მგზავრები მოიხუტნენ, მოიკეტნენ და თავიანთ ხაბა-ხუბანში ჩაძვრნენ. დუქანს კარგა მოშორებით რომ გასცდნენ; ორივენი ხაბა-ხუბანკიდან ისევ ამოძვრნენ და გასწორდნენ, ორივემ პირსახიდან ყაბაღები დაიხსნეს და შეგებით ამოსუნთქეს. ბოლოს ერთმა წამოიძახა:

— მშვიდობით ქუთაისო!

— მშვიდობით!—გამიერთა მეორემ.—ვინ იცის, როდის ვნახავთ ერთმანეთს!

მეორე დღეს ათი საათიდან ვოლკოვის ქვრივი ძლივს ასწრებდა თავის კარების ვალებს და პასუხის გაცემას.

— Уехали! Уехали, говорят вам! Всеми уехали; совсем! Вот надоели! Господи, вот замучили!

სახლის წინ ერემო, დანიელა და ლაითაძე კბილებს აკრატუნდნენ, დამკერვლები ავლამარჯვად იგინებოდნენ, ქალები არსულად იოანესებოდნენ, ხოლო მეტლევებმა ცხენები დაღალა და ქუთაისი გადაატრიალეს კვაჭი კვაჭანტრიაძის ძეხანში.

X

სამი დღის შემდეგ ბორჯომიდან მაიხელსონი დაბარუნდა, იმავე ხანებში ფოთიდან არსთინოვი ამოვარდა, ჰიათურისი საროკინი ჩამოვარდა. სამივენი ჯერ სირბილით ოფში გაიწურნენ, ბოლოს ყველანი გერკოვს შეუტყვიდნენ. სასტუმრო ოთახში ოთხივენი შეხედნენ ერთმანეთს, ოთხივენი ჩაეჭიდნენ იმ როიალს, თან ოთხივენი ყვიროდნენ.

— ჩემია! ჩემია!

მერე, როცა დაილაღნენ ყვირილით და კამათით, დასხედნენ და დინჯად უამბეს ერთმანეთს თავიანთი ამბავი, და დასაბუთეს თავიანთი უფლებანი იმ როიალზე. მაიხელსონი შედარებით არხენიდა იყუ, სხვებს დასცილნოდა და დასაბარა ივლებდა, დანარჩენნი ოიანდებოდნენ და იმუტყვიდნენ. ბოლოს საქმე იმით გაიავდა, რომ გერკოვმა ხელმოკრედ იყიდა იგივე როიალი, ხელკალიერ არსთინოვი ისევ ფოთში ჩავიდა, გამწარებულ საროკინი ისევ ჰიათურაში ავიდა. კვაჭის თავი დაანებეს, რადგან ახალგაზრდა სტუდენტი დასაღულად ვერ გამოეტყეს. ესეც რომ არ ყოფილიყო, იმ დროს ქვეყანა უპატრონოდ იყო და ოთხივე დახარალებულს რუსეთში გადაეკარგული კვაჭის დევნა ტყველად ჩაუვლიდათ და ვეძილებს ფულიც დაეკარგებოდათ.

ან რა ჩამოაცილიდნენ გაფხეილ სტუდენტს? ან ქვეყნად ყველგანვე ახგარიშის საქმეა.

იმევე ხანებში ვოლკოვის ქვრივს ვინმე ხუხუ ჩიჩია სკან ნოტარული განცხადება მიუცია. ქვრივმა რომ ის განცხადება წაიკითხა, ელდა ეკა, თვალები მუხუტდა აუვარდა, ენა მუცელში ჩაფარდა, მუხლი მოეკრა, ჩაიჩოქა და გული წაუვლიდა. მაღლობა უფალსა, რომ სწორედ იმ დროს მუხუტებდა—ყოლია ცალიქამემ შეუსწრო და მოასულიერა. მოხუცებულ ქვრივს მაინც ვინმე ვერ მოსულიყო: თავსა და ხელს აცენკარებდა, ტუჩებს აცმატუნებდა და ლაპარაკს ჰლამობდა. ბოლოს ის განცხადება ხელმოკრედ გადაიკითხა. ეილა ჩიჩია სწავდა:

„ამა წლის შვიდ ივლისს მე ვიყიდე თქვენი სახლი, ქალაქ ქუთაისში რომ მდებარეობს, ტფილისის ქუჩაზე, კვაკი სილიბისტროს-ძე კვაპანტირაძისაგან, რომელსაც თქვენგან სრული რწმუნების ბარათი ჰქონდა, დადასტურებული ამავე წლის შვიდ ივლისს ქალაქ ქუთაისის ნოტარიუსის ანგაფარაძის მიერ. გარდა ამისა, იმავე დღეს მე გასესხეთ ნაღდი ფულით ოთხი ათასი მანეთი თქვენ მიერ ხელმოწერილი ვექსლით, რომელსაც ვადა გაუვლიდა ამა წლის პირველ სექტემბერს, ვთხოვეთ შვიდი დღის განმავლობაში სახლი დამეცალათ, რადგან მე თვითონ ვაპირებ ჩემვე სახლში გადმოსვლას, ხოლო სამი დღის განმავლობაში გამინადლოთ ვალი თავის სარგებლით“.

ხუხუ ჩიჩია

სამარტედი.

ხონის გზა, სახლი ძაბული კვაპანტირაძისა.

იმავე საღამოს ვოლკოვის ქერივი განთქმულ ვექსლთან—ტეიჩიასთან მიმინალდა. ქერივის მდგომარეობა კოლია ცალიტაძემ მისწავლა ის ვექსლი, თორემ რა ესმოდა კანონების ვექსილობის ავ-კარგობისა სამოცი წლის მოხუცს, რომელსაც აქამდის მხოლოდ ის ჰქონდა გაგონილი, რომ სადღაც არსებობენ სასტიკი მოსამართლენი, უხედურთა მხსნელი ვექსლები, უღმომბელი მრალმდებელნი და „საწყალი, ღვთისგან და ხალხისგან დაზარალები კატორღელები“? ან ის რა იცოდა, ან საიდან და როგორ გაიგებდა გამოცერყტებულები მოხუცი, რომ იმავე დღეს შოლის დუქანში, ბალახეანის ქუჩაზე ერთად ისადილეს და იკეიფეს სილიბისტრო კვაპანტირაძემ, ხუხუ ჩიჩიამ, ტეიჩიამ და ქერივის მდგომარეობა კოლია ცალიტაძემ, რომელიც იმავე საღამოს მეტის გულკეთილობით და თავახიანობით იმ ჩიჩიას რუსის დედაკაცს განთქმული ვექსლის—ტეიჩიას კარგბამდის მიჰყავს? ან იმას როგორ იფიქრებდა, ან გულში როგორ გაიტარებდა მორწმუნე, გულუბრყვილო და უცო-

დგელი სარატოველი „ბაბა“, რომ სწორედ ხეიჩია იყო სილიბისტრო კვაპანტირაძის და ხუხუ ჩიჩიას ვექსლი, და რომ ის წერილი, რომელშიც დილით ქერივის გული შეუღონა, იმავე დღეს სწორედ ტეიჩიამ დასწერა და გაგზავნა? ტეიჩიამ ვოლკოვის ქერივი დიდის თავახი, ღმირით და აღერსით მიიღო. ტკბილმა ენამ, ცხელმა ჩაიმ და ვარდის მურაბამ ის დედაკაცი სულ დაატკბო, დაადნო, მოხიზლა და ტეიჩიას ხელში ჩაუგდო.

ქერივმა რომ ყველაფერი გადუშალა და ცრემლით გული მოიჯერა, ტეიჩიამ დიდხანს იდევრა, მერე დინჯად და გულწრფელის კილოთი უთხრა:

—მენანებით, ისე მენანებით, როგორც საკუთარი დედა. მაგრამ მარტო სიბრაღული საქმეს ვერ უშველის. ჯერ ერთი: თქვენ ანარქისტებისთვის იმოდენა ფულით დახმარება გაგიწევიათ. მთავრობამ რომ ეს ამბავი გაგიგოს, ან ჩამოგახიზნონ, ან ციხიბირი აქეთ დაგვრებათ. ნუ ღელავთ, დამშვიდდით. მეც ვიცი, რომ ნებაყოფლობით არ მიგიციათ ის ფული, მაგრამ ეგ სულ ერთია, მათ თქვენგან ფული მიიღეს და ამით ხელი მოიმართეს. მადლობა შესწირეთ უფალს, რომ მე წამაწყდით. სხვა ჩემ მაგიერი არ გაჩუმდებოდა, სადმე ბატყოდა და დაგულპავდა. ერთ რჩევას მოგცემთ, როგორც ჩემს დედას და ღვთისნიერ აღმთაბას: არსად, არასოდეს, არავის ეგ ამბავი აღარ გაუზიაროთ; გირჩევთ იგი საფლავში ჩაიტანოთ, თორემ—ვიმეორებ—არასგზით არ აცდებმათ ან კატორღა, ან ჩამოხიზნა.

ეხლა მეორე: თქვენ კვაპანტირაძისთვის მიგიციათ სრული რწმუნების ბარათი, ე. ი. უფლავა სახლის გაყიდვისა. მესამე: მისთვისვე მიგიციათ ოთხი ათასი მანეთის ვექსილი. რაო, ათას მანეთზე იყო ლაპარაკი? ვექსილში არაფერი ეწერა? მოწიფ არა გყავთ? ლაპარაკი ზედმეტია. თუ მაგზე დაუწყეთ დავა. ანარქისტების დახმარება



სრულიად საქ. მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და მატროსთა მეორე ყრილობის დელეგატი ქალბი. პირველ რიგში მარჯვნივ სდგანა შემდ. ამა: ამა. იაკობაშვილი (თელ. მახრ.) გახარია (ზუგდიდის მახრ.) თალაკვაძე (ოზურგეთის მახრიდან) ეკ. მთაბალითა (თბილისიდან) ჩარკვიანი (შორ. მახრ.) მეორე რიგში ამა: მებეზაშვილი (საგარეჯოს რაიონიდან) თ. ადამიძე (სიღნაღის მახრ.) გორის საკომსრუტო ქარხნის მუშა ქალი (გორის მახრიდან) კატო მიჭაძე (ქუთ. მახრ.) შერმანდინი (დუშეთის მახრიდან).

ფეხს გამოჰყოფენ, მაშასადამე—ისე ჩამოხრება, ან ციმშირი. კიდე დიდხანს აშინა და აფეთა ტვირთი შიშისგან ენადამული და მიბნედილი დედაკაცი. ბოლოს უთხრა: — ჩემი რჩევა და ღრმა რწმენა ასეთია: მე ვიცნობ იმ ჩიჩიას. იქნება მოვახვრო, რომ ჩიჩამ იმ სახლში ერთი ოთახი დაგიტოვოთ საჭირო ავეჯეულობით, ცოტა პენსია გაქვთ. ცოტასაც კერვით ან სამსახურით იშოვით, მეტიც არ უნდა მართებულა დედაკაცს. დედაშვილურად გირჩევთ დასთანხმდით, თორემ სრულიად ხელცალდებით დარჩებით, რაო, მოიფიქრებთ? კეთილი, მოაფიქრეთ და მობრძანდით, ოღონდ ფრთხილად! არაგის უამბოთ ის ამბავი, თორემ... ღამე მშვიდობისა! ძილი ნებისა... აქეთ მობრძანდით...—და ლასლასით მიმავალი დედაკაცი კარგამდის მიაცილა.

ქუჩაში ვოლკოვის ქვრის შემთხვევით კოლა ცა-



კახლ შვეინაშვილი — კავშირთა კავშირი (მუხუხანი) სათბურის შენობიდან. ვახის გაღვივება რიბტერის წესით.

ლიქაძე შეხვდა, რომელმაც ძლივს მიიღვნა სახლში. ის საღამო და მეორე დღე ცალიქაძე არ მოჰშორებია ავად-მყოფ დედაკაცს, რომელიც ხანგრძლივი ლოცვისა, ფიქრისა, ოხერისა და ტირილის შემდეგ ისევე ტვიჩიასთან მივიდა და უთხრა:

— თანახმა ვარ, ოღონდ ლუგმა პური და ერთი კუთხე მჭონდეს იმ სახლში. მომიხრებთ.

ტვიჩიამ ადვილად და მალე მიუხერხა.

ერთი კვირის შემდეგ სილიბისტრო კვაპანტირაძემ გაყიდა თავის „სასტუმრო“ — საბატონოში რომ ჰქონდა, ხონის გზის ნაპირზე, ზოგი ხაბაქ-ხუბაკით აიბარგა და გადმოსახლდა დიდს, მშვენიერს, მდიდარსა და სუფთა ქუთაისში, საკუთარ სახლში, ტფილისის ქუჩაზე; იგი სახლი მან—როგორც თვითონ ამბობდა—„დიდი, მძიმე შრომით და საკუთარი ოფლით“ შეიძინა ერთი უპატრონო ქვრისგან, რომელიც ისე შეიბარა და შეიწყალა, რომ მას უფასოდ კიბის ქვეშ პაწაწინა ბული ოთახი მისცა და მცირეოდენი ხის ავეჯიც დაუთმო.

ხუბე ჩიჩიას მეუღლეს, კვაკი კვაპანტირაძის ბებიას, პატყვემულ ნოტიოს ახალ საკუთარ სახლში, ტფილისის ქუჩაზე პირველივე ღამეს გაახსენდა:

— ვახისნეთი ჩემი სიტყვა, კვაკიკოს დაბადების ღამეს რომ გითხარით. მზემ რომ იმ დღეს თავზე გვირგვინი დაიდვა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ კვაკის ბრწყინვალე და სახელოვანი მომავალი მოეღოს მეთქი; იმავე დღეს რომ ალვის ხეს მები დავეცა და ჭონდიას დუქანიც რომ ეშვავებმა წაიღეს, ესეც იმის ნიშანი იყო, რომ კვაკის მტრებს—ჯგარი აქაურობას!—მები დაცემათ და გულბები ისე დაუსკდებთ, როგორც ის ალვის ხე გახეთქა მეთქი მეხმა. ასე ვთქვი ცხრაშვიტი წლის წინეთ. არ გამართლდა თუ ჩემსიტყვა!

ყველამ მოიგონა ნოტიოს წინასწარმეტყველება, ყველანი დათანხმდნენ, რომ იგი მართლა გამართლდა. სილიბისტრომ ვახისენა:

— გახსოვთ ალბათ, რომ ჩვენი კვაკიკო პაწაწინა-ში ტირილის დროს სულ „მე-მეს“ იძაბოდა. მაშინ ესთქვი:

ეს ბავშვი არაგის აფერხ შეარჩენს და მთელ ქვეყანას დეიჩემებს მეთქი. აქი მართლდება ჩემი სიტყვა!

სილიბისტროსაც დაეთანხმნენ.

— ვენაცვალე ჩემს კვაკიკოს!—დაუმატა კვაკის დედამ ძაბულისა. — სიბერეში ქუთაისში დამასახლა.

— ისიც საკუთარ სახლში. — დაამთავრა კვაკის პაპამ ხუბე ჩიჩამა, და სილიბისტროს მიუბრუნდა: — მა, სილიბისტრო! რაღა გაქვს აწი სანატრი? ერთი პრაპორონიკის ჩინი, პოლუტები და... შენზე უკეთესი მარშალი ქე კი-ლო იქნება საჭარბოვლოში?

იმ ღამე სილიბისტრო ძილში შფოთავდა, ტოკავდა, იბოინებოდა და იბერებოდა, რადგან სიხარში თავად-ახნართა მარშალი გახმდარიყო, გულზე ათიოდე ვარსკ-ლაგი და ჯგარი ეყიდა, მხრებზე პოლუტები უბრწყინავდა და ტანზე კამერ-იუნკერის თეთრი მუნდარიც ეცვა, სულ ოქრო-მეტრდით მოჭარბული, ხოლო უკან-წინადაც მეფის ნდობისა და მაღალი ხელისუფლებისა—დიდი ოქროს გასაღები ჰქონდა დაკიდული.

სწორედ იმავე ღამეს მისმა სასიძულულო და სახელო-ვანმა შვილმა კვაკი კვაპანტირაძემ ბათუმში ბილეთი იყიდა და გვეითი რუსეთისკენ მოუსვია.

მიხეილ ადამაშვილი,

9 ი ა ნ ვ ა რ ი.

უამრავ რიცხვით მიდიოდა გულდაჯერებით
 ხალხი მეფესთან, წინ მიჰქონდათ სურათი მისი;
 უძლოდა მღვდელი, შემდეგ ხატი და შემდეგ ჯვრები
 იყენენ დროშები გამრღვეველნი თოვლიან ცისა.

ყინულ ჰაერში მზე მოსჩანდა ოდნავ, კიაფად,
 გზა შორეული თოვლში იყო მთლად ჩამარხული.
 ქარი მრისხანე გაკვირდა და შეჩერდა სწრაფად
 ამღენი ხალხი: არა, ჰყავდა ქარსაც ნახული

იქ იყვნენ ძმები, დები იყვნენ აზნაუგები
 და დედ მამები... ქუჩა იყო მთლად დაფარული:
 იყვნენ ბებრები მოღუნულნი დროთა განგებით,
 და ქაბუკები პირტიტელები და მზიარულნი.

უამრავ რიცხვით მიდიოდნენ ლოცვის გალობით,
 ეთქვათ მეფისთვის, რა მწარეა იმათი ბედი.
 ეთხოვათ მისთვის, რომ მეფური სიტყვის წყალობით
 მიეცათ მათთვის უფლება და რამე იმედო.

შენი გამჭურდველ მსახურების დიდ ერთგულებით,
 ოქროთი მორთულ ჯალათების მხეცურ ნებაზე
 ჩვენ დღეს ესიდებით სიმშლისგან დაკარგულები,
 და არ გვაქვს ძალა, რომ ვიფიქროთ დასვენებაზე,

ჩვენი მფარველი, ჩვენი მეფე, ჩვენ ქალა გვინდა!
 გვისმინე როგორც მამა უსმენს საყვარელ შვილებს...
 მაგრამ იმედი მათი შვებით არ დაგვირგვინდა,
 პასუხი გისცეს საშინელი გულ დაღადრულებს...

შეხედნენ ტყვიებით სიყვდილით და საზარელ ხმებით,
 შეუბრალებლად სჭრიდნენ, ჰკლავდნენ გაზმეცხულნი.
 შეირხა ხალხი და შეჩერდა მკენესარე ხმებით,
 ძირს ეცემოდნენ კივილით და ზარ დაქმულნი.

კრულვა ზავ მონებს კრულვა მხეცებს და ძმების
 მკვლელებს
 და უფრო მეტი კრულვა მას ვინც გასცა ბრძანება.
 და თითქოს ხალხის აკვნესებას უფრო აგრძელებს
 ქარი, რომელიც თოვლის ფრთებით მოექანება.

ბეგრია მკვდარი, მაგრამ მასთან ერთად მკვდარია
 ნღობა ხალხისა, ეს წუთი მას ემასხოვრება;
 და ყველა მიხვდა, რომ თუ ბედი საოცარია,
 არ შეიძლება მომავალში ასე ცხოვრება.

ჩაქრა მზის სხივი, ზოდის ღამის შავი მანტია,
 ზოედო ქალაქს საშინელი, ცივი სიბნელე,
 მხოლოდ აქა იქ მოედნებზე ცეცხლი ანთია
 და სიწუმში დარაჯები ითბობენ ხელებს;

და ვიღაც სუსტი უსუსური ბავშვის ტირილით
 ლანდივით მოსჩანს, ეშინია და ეციება,
 მაგრამ სხვა ლანდი მრისხანე და როგორც კივილი
 მოითხოვს მდგრად სამუდამოდ შტრის ძიებას.

ნ. რიბაკო.

ჰეროსტრატოსი.

წყალს დიდებულმა, როცა შინიდან გამოვიდა. ტორტმანებდა: ფიქრთა ალკოჰოლს გამოეთვრა.

მთვარემ შექმნა, ქარმა ტორტები შემოჭრა და მოსულიერადა. მუხლი გაუმავლა. ზიზღით ვადახელა თავის სახლს, მიდამოს და ზგას გაუღდა.

მიდიოდა ალალ ბედელ. მიდიოდა და თან ბუტბუტებდა. ბუტბუტებდა და მუშუტით ქვეყანას ემუქრებოდა. ემუქრებოდა და ქიღებებს უღრქენდა.

გზადგზა ბოძიკობდა და მუხლებს იმტრევდა. უდაბურებში გავიდა, შექერდა და მიტოვებულ ქალაქს მიუბრუნდა.

— ლოდებით საცხევ! ლოდებით საცხევ სოფელო! ამოსაბუგო! — დიუფერია მრისხანებით, — საიარაო საცხევ დამგარიტებ!

ატყებულის სისწრაფით სამოსელი გაიძრო, ატყებულის სისწრაფით ნაფუთებდა აქცია და გამოვიდა გზისკენ გადისროლა.

— წაიღე! წაიღე უკანვე! წაიღე ეს შენი ფარტინა, ადამიანთა ბენგაო! დაუნდობლო! სულის ჯალათო! შიშველი გამოვსულვარ ბუნების წაილიდან და შიშველივე დავეტრუნდები!.. კორესს და ჰრიონ, მშობლიო მთებო! თქვენი კალთებს აფარებს თავსა ჰეროსტრატოსი!..

დიდუნდა და კლდე-ღრეებს გადაერია.

II

— იცი? გაიგეთ? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს ეფეტლები. — ჰეროსტრატოსი აღარსადა სჩანს!

— ჰო, მართალია, აღარსადა სჩანს. ორი დღეა ეძებენ და ვერ უპოვიან.

— ნეტა რა თავს იცხებულხენ?.. მე თქვენ გითხრათ, ერთი დიდებული ვინმე დაკარგულა!.. ცდტი მთლად გადარეული!

— მაგის კი რა მოვასენო, მაგრამ, საწყალი, ცოტა დონეზე რომ არ იყო, ეს მართალია.

— ცოტა კი არა ძალიანაც არ იყო დონეზე! რა ზოდიშა ჰქონდა?

— სწორედ რომ ძალიან არ იყო დონეზე. ამ ბოლო დროს სულ კაისტროსის ნაპირებთან გეგდებდა მარტოდ მარტო მჯდომარეს, თავისთვის მოლაპარაკეს.

— მეც გეგდებდი, მეც! ჰა! ჰა! ჰა! ჰა!.. ალბად თავის გულის ნადებს მდინარეს თუ უზიარებდა!

— აბა რაღა თქმა უნდა? რაღა თქმა უნდა? მაშ ვინ მიუხედებოდა ადამიანთაგანი იმის თავიდან გამომდინარე დიად აზრებსა?

— ჰა! ჰა! ჰა!.. ჰა! ჰა! ჰა! ჰა!.. ალბად დიდებული აზრებთან ერთად თავისი დიდებული თავიკ კაისტროსის ტალღებს თუ გაუზიარა!

— ალბად რომელიმე კაისტროიდი თუ შეუყვარდა, ჰა!

— ალბად, ალბად!.. ვინ იცის ესლა კაისტროიდების სასახლეშიც კეთილს!

— ჩემმა მტერმა იქიფოს ისე!.. ვინ იცის რამდენი ლამი აყლავა კაისტროსმა!

— რათა დაიკინო? მიცვლებულის აუფის თქმა არ არის მართებული.

— შენცა ერთი!.. გამოვსარხლა ვაგბატონი! ნეტავი სხვაც ბევრი იმისთანა დალაშის კაისტროსმა!

— ოლონდაც, ოლონდაც!.. ის უბედური, ისა!.. იცი? თურმე, აპოლონის ტაძრის აგება რომ განიძრახა ჩვენმა ქალაქმა არტემისის ტაძრის გვემით, თავის გვემა წარადგინა, ამითი იხელმძღვანელო, უკეთესი გამოვიდა.

— არტემისის ტაძრის იქუნებდა?.. ჰა! ჰა! ჰა! ჰა! ნამდვილი ტყუის კოლოფი ყოფილა!

— დიხ კოლოფი ყოფილა, მაგრამ ცარიელი! აფსუს ზერსიფონ, აფსუს! ვინ გიწუნებდა ნამოქმედარსა და! არტემისის ტაძარზე უკეთესი არც უწინ ყოფილა და არც მომავალში იქნება. ის მიღწევა მწვერვალამდე, მწვერვალამდე ჩამოგრივბადა შეიძლება.

— ის უკეთესი, მწვერვალზე არ არსებობსო, ან თითქმის ჟიკრებლივი დაფსრულებული სვლაა ზევითკენ, ან ჟიკრებლივი დაფსრულებული გორება უფსკრული-საქენაო.

— ჰა! ჰა! ჰა!.. რა უთქვამს და!.. მაშ, ალბად, ესლა აზრდითა სამეფოშიაც თუ მიგორავს უფსკრული-საქენ მაგ აზრის პატრონი?..

— ალბად, ალბად!.. ჰა! ჰა! ჰა! ჰა!..

კვირამ მეტი იარა მითქმა-მოთქმამ, ჰეროსტრატოსის დაკარგვის გამო ეფეტოს მოედანზე, ბაზარსა და ქუჩებში, დუქნებსა და ოჯახებში და ბოლოს მისწყდა.

III

დილა იყო, როცა ვინმე ჰარმოდისი ვინმე ჰელანიკოსს შეხვდა.

— ოოო, მეგობარო ჰელანიკოს! ჰელანიკოს!

— ოოო, ჰარმოდისო! ჰარმოდისო!

ამ შეხვედრამ მაგარი ხელის ჩაპოთმევა მოჰყვა: ერთი ნაცნობი მეორეს აეციატა.

— იცი, ჰელანიკოს! ჰეროსტრატოსი უნაბათ!

— რას ამბობ? მართლა?

— ვითომ არ იცის!

— არტემისს გეფიცები, არ ვიცი!

იცოდა მაგრამ არ ამხელდა: ამბანაგისაგან ვარიაცის მოცოდება.

— მაშ არ იცი?

— აპოლონის მადლმა, არ ვიცი.

— მთელა ქალაქი კი ლაპარაკობს და!..

მართალი იყო, წინადადით, საღაშოს ჟამს ვილაქას ენახა ჰეროსტრატოსი, ქალაქში ამხავი მოეტანა და ულთით ქუჩებში, ბაზარში, დუქნებში, მოედანში და ოჯახებში უკვე იცოდნენ.

— მაშ მე ჰელანიკოსი არ ვიყო, თუ ვიცოდი!

ჰარმოდისი დარწმუნდა, თუ არ დარწმუნდა ჰელანიკოსის სიტყვებში, ეგ ძეუსმა უწყოდა, მაგრამ ამხავს რომ მოჰყვა სამოყვებთ, ამას კი სახე უმტკიცებდა.

— წარმ-იფიგინე, პანად ქვეულა ჰეროსტრატოსი!

— რას ამბობ?

— ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა! პანად ქვეულა. თავზე რქები შეუმჩვეია პანეფოსს და ცხადად დაუნახავს, რომ ფეხები თხისა ქაშიონა.

— ჰი დიდება შენდა ძეუსო და არტემისი ეფეტის მფარველო!

— ჰო მე და ჩემმა ღმერთმა პართალია... თურქე ნიშნებს ეარზიებოდა.

— მერე? კლდია ჰქონია?

— სწორედ, თხას რომ აქვს ხოლმე, ისეთი.

— ერთი უყურე იმას და! უყურე ერთი რა ბედში ჩაგარდნილა?

— რა? შეგშურდა?

— შეგშურდა, მაშა?

— რა არის აქ შესაშური? მინცა და მინცა რა ძალიან სასიამოვნოა თხის კლდი და ფეხები?

— შენცა ერთი, მომიყვები!... რქები, თხის კლდი, თხის ფეხები კი არა, ვირის ყურებიც რომ გამოშვას ძაღლის კლდთან ერთად, თავს არ დავინანებ, ოღონდ ნიშნებთან მაშეყოფა და დრო მატარებინა!

ნაცნობები დაჰშორდნენ. ჭელანიკოსმა მოედინა კენ წასვლა დააპირა, მაგრამ ვინმე მტკონმა შეიჩერა.

— ჭელანიკოს, იცი ახალი ამბავი?

— ვიცი, ვიცი? ჰეროსტრატოს ვირის ყურები გაშობმა!

— რაო? ვირის ყურებიო?!

— ვირის ყურები, თხის კლდი, თხის ფეხები... რქებიცა.

— მერე, ცოლი რომ არა ჰყავდა, ვინ გამოაბამდა რქებსა?

— რას ამბობ, სულელო! ცოლი რად უნდა, როცა ორიადღები, არსიადღები და სხვა ნიშნები ეარზიებინა? ნახვამდის!

— დაიცა. მე კი ასე მითხრეს, ჰეროსტრატოსი კენტაუროსად ქცეულაო. პამფოსს გამოსდგომია. პამფოსი შინ გულუბნებებით მოგარდნილა.

ჭელანიკოსმა თვალები აჭკია.

— კენტაუროსადო?

— ჰო, კენტაუროსადოა. ნახვამდის.

— დაიცა, მტკონ, დაიცა! მერე რომ კენტაუროსად ქცეულა?

— მერე და აკი გითხარე: პამფოსი დაუჭერია და თავისთან წაუყვანია. ნახვამდის.

ეპეიოსმა გამოიარა და გაშტერებულ ჭელანიკოსს ხელი წაჭრა.

— რას დგებარ? წამო გამოიარე!

— დაიცა, კაცო! რა დროს გე არის? კენტაუროსს პამფოსის ნაცვლად პამფოსის ცოლი გაიტაცნა? ლამაზი ქალია.

— აგრე, ჩემო კარგო, ზოგს ქმარი მოსწონს, ზოგს ცოლი. ან შენ რა გენაღვლება? „პამფოსი თუ გაუტაცნია, პამფოსის ცოლი მაშ შენ დარჩენია“ წამო მოედანზე, იქ ბეგრს სხვა რამეებსაც გაიგებ.

ეპეიოსმა ჭელანიკოსს მოედინა კენ წაიყვანა.

მოედანზე აურზაური იდგა: ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილიყო და ჰეროსტრატოსის თევზადასავლს გადასცემდნენ ერთმანეთსა.

სალამომდე ჰეროსტრატოსის მეტამორფოზის ამბავი სახვებით შემოწმებულ და დამტკიცებულ იქნა.

IV

ლამეს, ზნელს, ქალბა ეპარებოდა და დარაჯებს თვალმებზე ძიღს პრეტელი ფრთები ფეხებზე, როცა არტემისის ტაძრის ყველგანაა აქა-იქ უცნაური ციციანთვლები ამუტტდნენ, ამუტტდნენ და გაიზარდნენ, გაიზარ-

დნენ და ალის ყლორტებად დაიჭიმნენ, დაიჭიმნენ და ნიაზე ქანაობა დიწყეს, შუქის კალოები ათამაშეს, სიგრძე სიგანე მოიმატეს, მკლავები გამოიბეს, მხარი მხარს გადასდეს და მოგუგუნე წითელი ფერხული ჩააბეს.

ტაძრის კვიპაროსნი აპარპალდნენ.

წითელი ფერხულთან ვინმე ტრიალებდა. წელი და მენჯები თხის ტყავით დაფურხა. წამსა და წამსა ალაგადან ალაგზე გადდიოდა და კვარის ნახვებს ცეცხლში ურედა, ანთებდა და არტემისის საეანის ზანზე აგდებდა, სანათოვებში ჰყრიდა.

ძლით ძღუელნი ტაძრის დარაჯნი დაფეთიანდნენ, გამოიღვიძეს და ცეცხლის დანახვაც ყვიროლი ასტებეს. ქალაქიც ახმაურდა.

მოვიდა ხალხი, მოვიდნენ ჭერუმნი, მოვიდნენ მამასახლისნი.

თხისტყავიანმა ხარხარს მორთო...

— პანია, პანი!

— პანია! პანია!

— პანი! პანი!

გაისმა ძიხლი და სიტყვა პანმა ბროზში მოგზაურობა იწყო. პირიდან პირში გადავიდა, რიგიდან რიგში და ბოლოს სადღასაც, რაღაც საიდუმლოების ძალით კენტავროსად იქცა.

ბევრი შეშინდა და უკან დაიხია.

პანადკნობილმა კი ხარხარს უმატა და თავმოყრილთ მცურები მოუღერა.

— ეიპ! ზამასახლისო! ჭერუმნო! სისხლის მსუტაენო! სულს ჯალათნო! ეიპ! ეფესლნო! რიყის ქვებო! ლოდებო! ვერა ხეირობს თქვენში ვარდა სულენო, მზის სხივის მოყვარული, ვერა ხეირობს, ვერა! ვერე იხეირებს! მტკრის ბური ედება, ქენება და კედება... აბას მოვითხრობთ მე! ჰეროსტრატოსი!

— ჰეროსტრატოსი! ჰეროსტრატოსი! — გამოიორეს მამასახლისთ, ჭერუმებმა და ხალხმაც პანი მისი.

— დაიხ, ჰეროსტრატოსი! შურსა ეძიო!... თქვენ ლამპარი დამიჭრეთ სახელისაკენ, მე ჩირაღდანი გავიმართე!

— შევიპყრათ! შევიპყრათ! ეაწამოთ! წამოიგვრვინა რბომ და ჰეროსტრატოსისკენ ტალა ისროლა... დამნაშავე დააპატიმრეს.

V

მცირე აზის სანაპიროები აქოთქოთდნენ: არტემისს ეფესელს ნინერგებში უხდებოდა თავის შეფარება. ქალაქი ქალაქს სამიშმარს ეუხებოდა და ჰეროსტრატოსის ნამოქმედარის მიზეზს ძიობდნენ.

ფეფსოს ძვირფასი სამკაული წაუხდა და თავპირი ამოსტერიოდა და მკხოვრებლები კბილებს ილესდნენ და საიარაკო სასჯელს იფრებდნენ დამნაშავესათვის.

განსჯის დღეს ყველამ მოედანს მიაშურა. გულის მოსდენად ყველამ თავისი თქვა.

— მაღო სიკვდილი ცოტაა იმისათვის.

— დაიხაც რომ ცოტაა! უნდა ჯერ გავავარებულ რკინის სკამზე დავგდოთ, რომ პანის კლდი მოგზაუროს... ზოგს ისევ პანადქცეულ ადამიანად მიაჩნდა ჰეროსტრატოსი...

— რაო? გახტრებულ რკინის სკამში? უნდა ცოცხლივ სულ ასო-ასო დავანაწილოთ!

— გე ხომ თავული იქნება! უნდა ცოცხალს გახურე-



1) კომუნისტი ჯარისკაცი, რომელიც დრეზდენის გაშვების შენობის საბურავიდან, თოვს ესვრის რეზინდერის პატრულებს.
 2) მ. ცეცხელი, საჭიროების ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე. 3) ჯემალ-ფაშა (უკანასკნელი სურათი) აჩვენული სრულად
 ოსმალეთის მეფის თავმჯდომარედ. 4) გერმანიის ყოფილი კრონპრინცი. 5) ლიდი ჯორჯი და მაიმუნი. 6) მუსოლინი
 ევროპაში. 7) ბონარ-ლოუ, ახლად გარდაცემული ყოფ. თავმჯდომარე ინგლისის მთავრობისა.

ბული შამფური პირში ვაძგროთ და ლაგების უკანაში გამოვაყოფინოთ წვერი!

— არა! უნდა ლაგების უკანაში ვაძგროთ, რომ, სანამ პირში გამოვლიდოდეს, სულ ვაიმე დედაო, იძახოს, თორემ ისე, როგორც შენ გინდა, მარტო ერთ დავყვირებ.ს. ვავიგონებთ.

— არა, არა!.. არა ეგვიც ცოტაა! ცოტაა!

— მართალია, მართალი! ცოტაა, ცოტა!

სასჯელების დასახელების შეჯიბრება გაიმართა, განუწყვეტელი ყაყანი გაიბა. შეჯიბრებას ამა თუ იმ სასჯელის უცუთესობის დასაბუთებაც მოჰყვა მეტი სახელეების წამომხატებით, ერთმანეთის ისიც გაახსენეს თუ ვინ ვის ცოლს სწყალობდა, ან ვისი ცოლი ვისა სწყალობდა.

საქმე გამჟღავნდა. მუშტები შემოიჭინეს და ჯოხები ამართეს.

— ხომ არ გინდა ე მე გოგრიდან შამანი გადმოგაღინო?

მსაჯულთა ბრძანებით დამნაშავეს თვალწინ შამფურები დაახურეს.

— არ გვეტყვი ნებით, ძალით გათქმევინებთ.

შამფურების რიგმა ადამიანის შიშველ ტანზე ზოლების რიგი გამოსახა. ჰეროსტრატოსის სახე სიმწარის ნაოჭებად დაულაგდა: კენისა აღმოჩნდა.

მსაჯულთა ბრძანებს და შამფურები მოაშორეს.

— იტყვი თუ არა, რათ გადასწვი არტემისის ტაძარი, ქვეყნის თვლი?

ჰეროსტრატოსმა გაზაზრულის ხმით ჩაიხარხარა.

შამფურები შიშველ ტანზე ისევ აშინებინდნენ, მეორე რიგი ზოლებისა გადაეღუს. მეორე რიგს მესამე მოჰყვა, მერე მეოთხე, მეხუთეცა და დამნაშავეს მაინც ვერა ათქმევინეს რა.

მსაჯულთ წამება შეაჩერეს და დუმის მიეცნენ: ამაოება იგრძნეს.

ჰეროსტრატოსმა დაკინეით გადახედა.



გოგრაძე ქეთისის მებარეშუმების სადგურსა. პეპლების აკრეფა.

— აბა, ერთი მოდი! მოდი რაღა! ისეთი დაცხობ რომა ფხზე ვეღარ დაღვე, შე კანკურა შენ!

ჯახანი გაისმა. ადამიანს გული შეუწყუნდა და დაეცა.

— კაცი მოკლა, კაცი!

— მოკლა და ეგვიც მოკლდება! უკან გადაუალე! ჩემი ძმის სიცილისა განა შეგარჩენ?

ჯოხმა მეორის თავზედაც დაიჯახუნა და მესამისაკენ გაინაწილა, მეოთხისამ აიკლინა და მეხუთისას კოპი დააჯდა. ჰეროსტრატოსი დაევიწყდათ. ნათესავი ნათესავს ეშველებოდა და ჯავრსა ყრილობდა.

ჰეროსტრატოსი კი ამ დროს ქალაქთა შევრთებულ სამსჯავროს წინ ედგო ხელფხვ გაკრული. პირმოღუშული, მდუმარე მდიდრად იყურებოდა. მსაჯულნი ჭკითხავდნენ. პასუხს არ აძლევდა. დროიდრო მავრა მოკუმულ ტურებს სარკასტილი ლიმი უჭიმავდა.

— მე კიდევ დავამარცხებ! მიჰმართა მისუსტებულის ხმით ეფესელთა წარმომადგენლებს.

მსაჯულთ კრებული სწენად გადიქცა.

— მე კიდევ დავამარცხებ! — გაუმეორა ჰეროსტრატოსმა თვალში ამოღებულ წვერებს სამჯავროსას. — ეს ჩემი მეორე გამარჯვებაა თქვენზე, ეფესელებზე! ოოო, ძნელი ყოფილა უფლებადუქურვილის ბლაგვი გონების დამარცხება! მაგრამ მაინც ველირსე. ვერადეფრი წამება ვერ გამომტებს, თუ ჩემი ნება არ მოსთურვებს. ჩემი ნება ქედუბრეოია!.. თქვენ მეკითხებით, მე პასუხს არ გაძლევდით, არ მეკითხებით და ნება ჩემი მიკარნახებს პასუხი მოგცეთ. ჩემი წუთები დათვლილია და ეგზურები...

— მონდიდა მეც შემემყო სამშობლო ქალაქი: ძალსა ვგრძნობდი. ეფესოს მრავალწანაოვანი თვალით დავამშენედი, მე სახელს მოვიპოვედი უღვეშეძიანს... ოოოჰ!

ამის შემდეგ სახელს ჰეროსტრატოსის გაიმეორებს და ან შენს ამბავზე ილაპარაკებს!

ჰეროსტრატოსის ბოროტება ღიმმა ვაღურბინა პირის ნაპოვზე.

